ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3452871

ნომერი: AR1527119

თარიღი : 25.07.2017

გაცემის თარიღი : 04.08.2017

გაცნობის თარიღი : 07.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თევდორე მღვდელი , N 51 / ქალაქი თბილისი , ქუჩა თევდორე მღვდელი , N 53 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოდარ ბაღათურია პ/ნ 01008022487
- მცხეთის ქ.#1/ზ.27

ორგანიზაცია:

- მაგთიკომი კოდი: 204876606

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში , სექტორი-დიდუბე, ქუჩა თევდორე მღვდელი, N51/ ქ. თბილისი, ქუჩა თევდორე მღვდელი N53, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის სახურავზე შ.პ.ს „მაგთიკომი“-ს ანტენების მოწყობას.

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის თანახმად, თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით დასტურს.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (არსებული ფოტო; ფოტომონტაჟი; სანიტარული დაცვის ორგანიზაციისა და კეთილმოწყობის პროექტი, საჯარო რეესტრის მონაცემები N 882017581717 06/07/2017წ. N 01.13.06.007.022, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა "თევდორე მღვდლის 51"-ის და "თევდორე მღვდლის 53"-ის კრების ოქმი N1) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში , სექტორი-დიდუბე, ქუჩა თევდორე მღვდელი, N51/ ქ. თბილისი, ქუჩა თევდორე მღვდელი N53, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის სახურავზე შ.პ.ს „მაგთიკომი“-ს ანტენების მოწყობის შესაძლებლობას.

მშენებლობის მწარმოებელი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები. უზრუნველყოფილ იქნას ანტენების კონსტრუქციული მდგრადობა.

---

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.